ხელშეკრულება მომსახურების
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №30

ქ. თბილისი 22 იანვარი 2019 წელი

ჩვენ, ერთის მხრივ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი (შემდგომში – შემსყიდველი), მდებარე: ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი №2-ში, წარმოდგენილი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (აპარატის უფროსი) ელენე დუმბაძის სახით, ხოლო მეორეს მხრივ, შპს „სპექტრი" (შემდგომში– მიმწოდებელი), მდებარე: ქ.თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზ., კორპ.№11, ბ.№50, წარმოდგენილი დირექტორის გიორგი კირთაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 შესყიდვის ობიექტი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის ბიუჯეტის სახსრებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენობაში ჩასატარებელი სამუშაოებისთვის (იხ.დანართი) ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის მომზადება და ტექნიკური დავალების შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.
1.2 კლასიფიკატორის კოდი: 713 000 00; 713 240 00.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 გაწეული მომსახურების ფასი განისაზღვრება: ლარში.
2.2 გაწეული მომსახურების საერთო ღირებულებაა- 4 500 (ოთხიათასხუთასი) ლარი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადისა და გადასახდელის, ასევე ყველა ხარჯის, რომელიც დაკავშირებულია მომსახურების გაწევასთან) ჩათვლით.

3. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

3.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება: ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.
3.2 მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი, ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი".
4.3. „შემსყიდველი" ვალდებულია წერილობითი სახით, აცნობოს „მიმწოდებელს" საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული შესყიდვის ობიექტისა და წუნდების მიზეზის მითითებით.
4.4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება) დავით

ყოჩიშვილის დასკვნის საფუძველზე განახორციელებს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის (მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება) ხელმძღვანელი ხვიჩა ბენდელიანი.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
- შეამოწმოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
5.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:
- დროულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
5.3 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
- მოსთხოვოს „შემსყიდველს“ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
5.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
- ხარჯთაღრიცხვასთან ერთად წარმოადგინოს აკრედიტირებული ექსპერტის/აუდიტის მიერ გაცემული ინპსექტირების ანგარიში (ექსპერტიზის დასკვნა), რომლითაც დადასტურდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისობა საბაზრო ღირებულებასთან.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
- დროულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

6.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.
6.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
6.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
7.2. ანგარიშსწორების განხორციელდება მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის შემდეგ, აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
7.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მიღება-ჩაბარების აქტი.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე

მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, რაზედაც უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს დამატებითი ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება/შეტყობინება.

8.3. თუ მიმწოდებელი გაფრთხილების/შეტყობინების შემდეგაც არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა ხელშეკრულების საერთო/ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.5 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების არაუმეტეს 0.02%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.7. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ფორს–მაჟორული სიტუაციები

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9..2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

9.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების ხარისხის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის“ მოთხოვნებთან.

10.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ, „შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ მომსახურების ნაკლს წუნდების მიზეზების მითითებით.

10.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის” მხრიდან ანხორციელებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს აპარატის მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება) დავით ყოჩიშვილი.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რაცა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
11.2 თუ მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის უშედეგოდ გასვლის შემდგომ დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართონ საქართველოს საერთო სასამართლოს.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

12.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან 2019 წლის 10 აპრილის ჩათვლით.
12.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე:
ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;
ბ) ამ ხელშეკრულებით დადგენილი მოთხოვნების „მხარეთა" მიერ შეუსრულებლობის შემთხვევაში;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13. სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
13.2. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
13.3. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
13.4. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი
მის: ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი: TRESGE22
ა/ა GE 24 NB 0330 1002 0016 5022
ს/კ 204 495 055

ელენე დუმბაძე

მიმწოდებელი:

შპს „სპექტრი"
მის: ქ.თბილისი, ბერი გაბრიელ
სალოსის გამზ., კორპ. 11, ბ. 50
სს „თიბისი ბანკი"
ბ/კოდი: TBCBGE22
ა/ა GE 98 TB 7809 2360 5010 0002
ს/კ 406 035 188

გიორგი კირთაძე

ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი

1. დადიანის ქუჩის მხარეს, ბიუროს ოთახის მიმდებარე კედელზე არსებული წყალმიმდების ზედა ნაწილში ყელის სიგიწროვის გამო, ძლიერი წვიმის დროს ვერ ხერხდება წყლის ნაკადის გატარება, რის გამოც წყალი ეონავს შენობის შიგნით, რისთვისაც აუცილებელია შეიცვალოს წყალმიმდები სისტემა.

2. სახანძრო უსაფრთხოებიდან გამომდინარე შენობაში არსებულ 2 საკომუნიკაციო ღიობში (შახტაში) საჭიროა სართულებს შორის გადახურვები გადაიტიხროს შესაბამისი ცეცხლგამძლე მასალით.

3. სახანძრო უსაფრთხოებიდან გამომდინარე საჭიროა შენობის სხვენში არსებული ხის კონსტრუქციები დამუშავდეს ცეცხლდამცავი ხსნარით.

4. სახანძრო უსაფრთხოებიდან გამომდინარე საათის გუმბათის სათავსოში დამონტაჟებული ელექტრო სადენები უნდა მოწესრიგდეს, ვარვარა ნათურების დასამაგრებელი ფუძეები უნდა მოიხსნას წვადი ხის კოჭებიდან და ნათურები ჩაისვას დახურულ ხუფებში.

5. სახანძრო უსაფრთხოებიდან გამომდინარე ტექნიკურ სართულში(სარდაფი) არსებული 5 ტონიანი დიზელის საწვავის ავზი უნდა გაიმიჯნოს მთლიანი სათავსოდან I-ლი ტიპის ხანძარსაწინააღმდეგო ტიხრებით, შენობის გარეთ უნდა მოეწყოს ავარიული ჩაღვრის რეზერვუარი და დიზელის ავზის სათავსოში დამონტაჟდეს ხანძრის ჩაქრობის სისტემა.

6. სახანძრო უსაფრთხოებიდან გამომდინარე ტაბიძის ქუჩის მხრიდან სხვენში დამონტაჟებული „ჩილერი"-ს ტიპის დანადგარების განთავსების ფართობი დანარჩენი სხვენისგან უნდა გამოიყოს ხანძარსაწინააღმდეგო კედლებით და გადახურვით.

7. სახანძრო უსაფრთხოებიდან გამომდინარე სასერვერო ოთახში საჭიროა დამონტაჟდეს ადგილობრივი ხანძრის ჩაქრობის სისტემა.

8. სახანძრო უსაფრთხოებიდან გამომდინარე ტაბიძის ქუჩის მხარეს სხვენში ფაქტიურად შეუძლებელია მოხვედრა, რის გამოც უნდა მოეწყოს ასასვლელი ლუქი კედელზე მიმაგრებულ კიბესთან ერთად.

9. სახანძრო უსაფრთხოებიდან გამომდინარე სხვენში გამავალი საქვაბის მილების სიახლოვეს არსებული წვადი ხის ფილებით მოპირკეთება უნდა შეიცვალოს უწვი მასალით.

10. სახანძრო უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ე.წ. ძველ შენობაში უნდა დამონტაჟდეს საევაკუაციო გასასვლელებისა და მათკენ მიმართულების მაჩვენებლები.